ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საშემფასებლო მომსახურების შესახებ

ქ. ხაშური 17.09.2019 წ.

ერთის მხრივ, შპს “აუდიტი +” (ს/ნ 443854349), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი, აუდიტორი კარლო აბრამაშვილი (შემდგომში წოდებული როგორც “შემსრულებელი”) და მეორეს სსიპ “დიმიტრი ყიფიანის სახელობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქვიშხეთის საჯარო სკოლა” (ს/ნ 243873965) (შემდგომში ~დამკვეთი~), რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი ქალბატონი მანანა ბასიაშვილი. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1
ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის შეთანხმებულ საკითხებზე დამკვეთის დავალებითა და შემსრულებლის მიერ აუდიტორული/საშემფასებლო მომსახურების გაწევა (ჩPV 79210000).

მუხლი 2
მომსახურების არსი

შემსრულებლის მიერ გაწეულ მომსახურებაში შედის: სსიპ “დიმიტრი ყიფიანის სახელობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქვიშხეთის საჯარო სკოლის” შენობაში არსებული სასკოლო ბუფეტის იჯარით გადაცემის შემთხვევაში, იჯარის თანხის საბაზრო ღირებულების დადგენა აღნიშნული პერიოდის, მდებარეობის, პირობების გათვალისწინებით და შესაბამისად შეფასების ანგარიშის მომზადება.

მუხლი 3
მომსახურების საფასური

3.1 ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებულ აუდიტორულ მომსახურეობაში დამკვეთი უხდის შემსრულებელს 50 ლარს.
3.2 ღირებულება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით და მისი გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ ამ ხელშეკრულების განახლების მომენტისას ან ნებისმიერ დროს, მაგრამ მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4
ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.2 `დამკვეთი~ ამ ხელშეკრულების მუხლ 3.1-ში მოცემული საფასურის გადახდას აწარმოებს აუდიტორული დასკვნის წარმოდგენისას.

მუხლი 5
ხელშეკრულების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 21 ოქტომბრამდე .

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2019 წლის 18 სექტემბერი.

მუხლი 6
ზოგადი დებულებები

6.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, შესწორებებისა თუ დამატებების შეტანა წარმოებს წერილობითი ფორმით მხარეთა მიერ წინასწარ მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მუხლი 7
მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

`დამკვეთი~

სსიპ “დიმიტრი ყიფიანის სახელობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქვიშხეთის საჯარო სკოლის”
ხაშურის რაიონი, სოფ. ქვიშხეთი (ს/ნ 243873965).

`შემსრულებელი~

შპს “აუდიტი +”
საქართველო, ქ. ხაშური, კოსტავას #4, საიდენტიფიკაციო კოდი #443854349, ს/ს `ლიბერთი ბანკი~, კოდი #220101435 ა/ა #GE33LB0113131601258000.

`შემსრულებლის~ სახელით:

კარლო აბრამაშვილი

`დამკვეთის~ სახელით:

მანანა ბასიაშვილი